ხელისმოწერა და რედაქცია
...ფილისი, სასახლის ქ.,
თავ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
... მიმართავენ რედაქციას დილის
... 3 საათამდე და საღამოს 4—7
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
...-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
ხელ-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეორეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 4 მან.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-
ების“ გამგეობა აცხადებს, რომ დღეს, 9 მაისს, გარდახდილ იქმ-
ნება დიდუბის ეკლესიაში წლის წირვა განსვენებულის
ალექსანდრე როინაშვილისა
სულის მოსახსენებლად. (3—3)

## სახალხო სეირნობა
## საქველ-მოქმედო განზრახვით
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგა-
დოების“ სასარგებლოდ
დანიშნულია 16-ს და 17-ს მაისს, კვირას და ორშაბათს,
მუშტაიდში. (10—7)

!!მიაქციეთ ყურადღება!!
## ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.
ინებეთ ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიოგით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მი-
იღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და საოჯახო ნივთს.
ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევ-
ში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფი-
ლისში
!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—21)

სამკურნალო და ამბულატორია
## ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ხ. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ქ. მირრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. ქობანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
მარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ხ. ბ. თოფურია
*Лѣчебница В. С. Топуріа* въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

—

*** **ცვლილებანი რკინის გზის გამგეობაში** მიმოსვლის უფროსი ბ-ნი შაიკევიჩი დაუმტკიცებიათ გზათა მმართველის თანაშემწედ, ხოლო მიმოსვლის უფროსად დანიშნულია ბ-ნი იზმაილოვი, რომელიც გადმოყვანილია პეტერბურგიდან.

*** **გუბერნატორის გამგზავრება ბორჯომში.** გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი გუშინ გაემგზავრა ბორჯომში, საიდამაც ხვალ დაბრუნდება.

*** **ტელეფონები რკინის გზის სადგურებზე.** როგორც ისმის რკინის გზის მმართველობას აზრად აქვს ტელეფონები გაიყვანოს ყველა სადგურებში ფოთსა და განჯას შორის. ჯერ ხანათ ტელეფონი გაიმართება ყვირილაში.

*** **მაისობა ფოთში.** გაზეთ „კავკაზს“ატყობინებენ ფოთიდან, რომ პირველ მაისს დიდ-ძალი ხალხი შეკრებილა და საზოგადოდ დიდი მხიარულობა ყოფილა. საღამო დროს ჩვეულებრივ ბურთაობა დაუწყვიათ გურულებსა და მეგრელებს და დიდი ჰაპანწყვეტის შემდეგ ბურთი ლელოზე მეგრელებს გაუტანიათ.

**საქველ-მოქმედო ბაზარი** ქუთაისის გაბრიელის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ დანიშნულია ამ თვის ოც-და-ათსა.

*** **მხეცური საქციელი** „ტფ. ფურც“-ს ატყობინებენ სადგურის ლიაქიდან, რომ რკინის გზის დარაჯის ცოლი მ. ლ-სა ლამაზი და ახალ-გაზდა ქალი, საღამოს 7 საათზედ მიდიოდა თურმე სადგურიდან თავის საყარაულოში, ამ დროს ქალს შეეჩეხენ სამი შეიარაღებული თათარი. სტაცეს ქალს ხელი და შეათრიეს იქვე ახლო ბაღში და სამთავემ. ზედი-ზედ ქალზე ძალა იხმარეს, ეგ როდი აკმარეს საბრალოს 15 მან ფულიც წაართვეს და როცა გული იჯერეს გაიქცნენ. პოლიცია ჩვეულებრივ დაფაცურებულა, მაგრამ ჩვეულებრივ ვერაფერი გაუწყვია.

*** **ცხინვალი.** ბლაღოჩინების ყრილობა. ჩვენ ცხინვალს წინ წაწევა არ ეტყობა: ეს ორი წელიწადია აპირებენ კავკავიდგან ქალების ოთხ კლასიან სკოლის ჩვენთან გადმოტანას, მაგრამ უმოთავეობით ვერ მოახერხეს აქამდისინ, თუმცა ამ საქმეში დახმარება ბევრმა აღმოუჩინეს ცხინვალის საზოგადოებამ, თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ. 1-ლს მაისს ამ საგნის განსახილველად მოხდა ყრილობა ხუთი საბლაღოჩინოს მღვდლებისა, ამ ყრილობამ დაადგინა ყოველი ღონისძიება იხმარონ ხსენებული სასწავლებელი გადმოტანილ იქმნას ცხინვალში, რისთვისაც იხმარონ ყოველი მეცადინეობა, რომ ამ საქმისათვის საკმარისი ფული იყოს შეკრებილი.

*** **დ. ხაშური.** ქურდების თარეში. 3 მაისს ღამით აქ მოხდა შემდეგი ქურდობა: გაქურდეს ქვრივი ქალის - ბაღუევის ოთახი. ბოროტ-მოქმედებმა ჯერ გარედგან კარები გადაუკეტეს და შიგ დაამწყვდიეს სახლის პატრონები, შემდეგ რკინის კეტით გასტეხეს მეორე ოთახი, რომლიდგანაც გაიტანეს ოც-და-ათი თუმნის სხვა და სხვა ავეჯეულები, ამასთანავე წაიღეს 100 მ. ვექსილი. ამავე ღ-მეს მოჰპარეს სამი თუმნის ხალიჩა კონდუქტორს—ბუსკიაძეს. თქვენი მტერის თუ ეს ვაჟ-ბატონები ამ თავითვე არ აილაგმნენ, შემდეგ უფრო გათამამდებიან და დღისით-ლ-კი დაიწყებენ თარეშობას.

საქველ-მოქმედო წარმოდგენა. კვირას, 16 მაისს, ხაშურის სცენის მოყვარენი აპირებენ ქართულ წარმოდგენას მცხეთის ტაძრის ფონდის სასარგებლოდ. ამ წარმოდგენაში მუქთად დახმარება აღგვითქვეს ტფილისელმა სცენის მოყვარეებმა: ბ. ბ. გელიკურაშვილმა, ხრეთელმა, ქ. დარო რჩეულოვისამ და სხვებმა. იმედია ამ წარმოდგენას აქაური შეგნებული და შეძლებული საზოგადოება გულგრილად არ შეეგებება და აკრეთვე ადგილობრივი პოლიციაც ხელს შეუწყობს.

სან—ნარი

*** მადლობის გამოცხადება. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ წიგნების გამომცემელ „გლეხს“-ს ამხანაგობას, რომელმაც ხალხში მუქთად დასარიგებლად გადმომცა 50 ცალი თავის მიერ გამოცემული „რამოდენიმე მოთხრობა“ თხზ. თეოფ. ხუსკივაძისა. ამ წიგნებიდგან 12 ცალი დავურიგე ხაშურის რკინის გზის დაბალ მოსამსახურეებს, ხოლო დანარჩენი 38 ცალი დაურიგე ბეჟათუბნის სამინისტრო სასწავლებლის მოწაფეებს.

სტეფანე ნოზაძე

*** ს. ზენი. (სამეგრელო) ჩვენა ავა-და-კარგი. გაზაფხულს დიდის ალტაცებით მოველოდით იმ იმედით, რომ აბრეშუმის ჭიას „დავისვამთ“ და რამდენიმე გროშს გამოვრჩებით. მასთან თუმც შარშანდელი აგრიკულტურულ მოქმედობისაგან ძლიერ დანაკლოვანებული გვქონდა გული სიმინდის მოუსავლობით და ფასის დაწევით, მაგრამ წრეულს მაინც მოველოდით უკეთესობას. აბრეშუმის ჭია კი მართლაც კარგი გამოდგა, ჯერჯერობით, მაგრამ ყანები დაგვრჩა ჯერ დაუთესავად, მეტის მეტ გვალვის გამო. და რომელიც დავთესეთ ისიც არ ამოსულა, რადგანაც მიწა გამხმარი იყო, და სიმინდის თესლს სინედლეს არ აძლევდა, რომ ამოსულიყო, დღეს როგორც არის გაწვიმდა, და იმედი გვაქვს აწიც არ დაგვტოვოს უფალმან უნუგეშოთ.

აქაურმა მემამულეებმა კნ. მ. მ. ძემ დადიანმა და კნ. ჩიჩუებმა თავიანთი მამულები იჯარით გარდასცეს ვილაც ახალ მოსრულ ნემცებს, რომლებიც ფიქრობენ და ამუშავონ ეს ადგილები რიგიანად, დასთესონ ყოველ გვარი მიწის მოსავალი და გამოსცადონ, რომელი მოსავალი იქმნება უკეთესი ან სარგებლიანი ამა ადგილებში. სწორედ ვინც მომავლის გაუმჯობისათვის ჰფიქრულობს, იმისთვის ძლიერ სასიხარულოა ეს საგანი და კიდევაც მადლობის ღირსია ზემოდ ხსენებული მემამულენი ამ გვარი საქმის შემოღებისათვის, თუმც უკეთუ იჯარადარებმა დაბალი საზოგადოება ძლიერ შეავიწროვა, რადგანაც პირუტყვების საბალახოს უბაჟოთ არ აძლევენ გლეხებს და დათესილ ადგილებს იურგლივ ლობეებს არ უკეთებენ როგორც ჩვენში დღემდის ჩვეულება იყო, და ისენი დღემდის საკუთარ მამულებივით აბალახებდნენ პირუტყვს, ზემოხსენებულ მამულებში და სათეს სახნავ მამულებს სანახევროთ ამუშავებდნენ, ზემოთ ხსენებულ მემამულეებისას. დღეს ასეთი ჩვეულება ყოველივე შემოაკლდათ საზოგადოებას, მაგრამ რაც უნდა შევიწროვდეს დღეს საზოგადოება მაინც ჩემის აზრით უკეთესი იქმნება მომავლისთვის. მკითხავთ, „ჩემო მკითხველო, რატომო? აი, ამიტომ, რომ დღემდის ჩვენ არ ვიკით არა ვითარი მიწის დამუშავება გარდა სიმინდისა და იმის ფასიც და მოსავალიც, ბარე ხუთი წელიწადია რომ დაეცა და მით შემოსავალი შეგვიმცირდა და გასავალი-კი წინანდელზედ მეტია. თუმცა ოთხი წელიწადია აბრ. პარკის წარმართება შემოიღეს, მაგრამ ისიც ველარ ასწორებს ჩვენს მატერიალურ ნაკლებლობას. და დღეს შეიძლება, რომ ზემოხსენებულმა იჯარადრებმა აღმოაჩინოს ისეთი სასარგებლო რამე, რომ ჩვენც შევისწავლოთ იმათი ხელობა და ჯეროვანი სარგებლობა მივილოთ ჩვენი მუშაობისაგან ძივილოთ სარგებლობა, არამც თუ მარტო მახლობელ საზოგადოებამ, არამედ ყველა მხარემ, რომელიც მარტო სიმინდზეა დამყარებული.

აწი ვუსურვებთ, რომ ბატონ მემამულეებმა ჩამოაგდოს მორიგება, მათი იჯარადარის და მათის წყალობის მომლოდინე გლეხების შორის, რომლებშიაც შურია აღძრული შეუჩვევარი შემთხვევისაგამო. და იძულებულნი იქმნენ გლეხები დასტოვონ თვით ნებით სამშობლო და გარდასახლონ რამოდენიმე სხვა მხარეს. მაგრამ იმედია ბატონი მემამულენი არ მოაკლებენ გლეხებს მათს მოწყალებას, როგორც დღემდის აგრეთვე აწიც შეარიგებენ იჯარადრებთან.

ი. გვათუა.

**ს. კარდენახი** (ქიზიყი) კეთილ შართა კეთილი საქმე. ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევათ იმატა ქიზიყისაკენ ეკონომიურმა მოძრაობამ, ხალხმაც კონებრივათ წელი გაიმართა და თანაც არ დაივიწყა უმთავრესნი საზრუნველნი თანამედროვე ჩვენის ცხოვრებისა სწავლა განათლება, ასეთი წყურვილი სინათლისა უფრო გამოიხატა. ს კარდენახში. რასაკვირველია, მარტო გამოხატვა დიდხანს ვერაფერს იზამდა თუ სათავეში ასეთის მოძრაობისა არ დადგებოდა კნ. ელენე აბხაზისა მღ მიხეილ ბენაშვილი, ზოგიერთნი თავად-აზნაურნი და გლეხნი, რომელნიც სიტყვით თუ საქმით დახმარებას აძლევდნენ ყოველს კეთილ საქმეს. მოგახსენებთ კნ. ელ. აბხაზის მეთაურობით გაიხსნა სამკითხველო, რომლის წინმსვლელობა და მშვენივრათ მოწყობა სასურველია ყველა აქაურ პრივანკიელ სამკითხველოსთვის. ესევე ითქმის ქალების სკოლაზე, რომელიც გახსნა მესამე თვეზე მოსვლისათანავე მღ. მ. ბენაშვილმა. ყოველ სიკარგესთან ამ სკოლაში ასწავლიან ხალიჩების ქსოვას, ლეჩაქის არშიების ქსოვას და ბასმას და სხვათა რომელნიც აუცილებლათ საჭიროა მოსწავლეთათვის მომავალ ცხოვრებაში. უკანასკნელ დროს ისე მშვენივრათ შეისწავლეს ხალიჩეარიული მუშაობა, რომ მოსწავლეთა გაკეთებული ხალიჩის ბალიში მიართვეს მის მაღალ ყ.დ უსამღვდელოესს ეგზარხოსს.

აქვე უნდა აღვნიშნო მთელ ქიზიყში პირველი მისაბაძი მაკალითი მ. მ. ბენაშვილისა. მან შეიძინა ფარანი ბუნდოვანი სურათებისათვის (Волшебный фонарь) და ნებართვით საქართველოს ეგზარხოსისა დაიწყო სკოლაში მართვა სასულიერო კითხვებისა. ხალხი დიდის თანაგრძნობით მიეგება ამ კითხვებს, აუარებელიც ესწრობა და დიდათ ნასიამოვნები ბრუნდება. ბევრმა ამისთანა მოღვაწეობამ ბენაშვილისამ ეკკლესიის გამშვენება, მგალობელთა გუნდის შედგენამ დაჰბადა სიყვარული მრევლში, რომელიც სხვათა შორის, გამოიხატა იმაში, რომ მან ნებაყოფლობით შეაგროვა (მამასახლისის თანაგრძნობითაც) ფული და არტყავს ეკკლესიას ეკლიანის მართულის ღობეს ღირებულის 80 მან.

ორაგულის ნაღვლა.

## სასამართლოს მატიანე

ორჯონიკიძეების საქმე

11 ამ თვეს დანიშნული იყო ტფილისის ოლქის სასამართლოში გასარჩევად საქმე ნიკოლოზ და გედევან ორჯონიკიძეებისა, რომელთაც ბრალდებათ მოპარვა შარშან ზაფხულში ტფილისის ფოშტა-ტელეგრაფის კანტორიდგან 50,000 მანეთისა, რომელიც დაბეჭდილი იყო ერთ ტილოში გასაგზავნად სახელმწიფო ბანკში, ამ საქმეში პასუხის გებაში არიან მიცემულნი აგრეთვე ტფილისის მცხოვრებნი ცოლ-ქმარნი პავლე და ეკატერინე კონდრატიევები.

ეს საქმე უნდა გარჩეულ იყოს ხსენებულს დღეს, მაგრამ სასამართლოს მბრალმდებელის მოწერილობით დაბრუნებულ იქმნა 7. ამ მაისს სხვა და სხვა მიზეზების გამო, ხელ ახლად გამოსაძიებლად. ორჯონიკიძეები დატუსაღებულები არიან ტფილისის ციხეში.

## ყურმოკრული საუბარი

— სიტყვით ვერ გამომითქვამს თქვენთვის ჩემი სიყვარულის ძლიერება.

— თუ სიტყვით ვერ გამოგითქვამს, მაშ ფულებით სცადეთ!

—

ერთს ქარვასლის გამგეს ესაყვედურეს.

— კაცო, რა ღმერთი გიწყრება, რატომ არ შეაკეთებინებ ქარვასლის ჭერს, ხომ ხედავ როგორ ჩამოდის წვიმა!

— აბა წვიმის დროს ასეთს ავდარში როგორ შევაკეთებინო!

— შე დალოცვილო, წვიმაში კი არა, როცა დარია მაშინ შეაკეთებინე.

— მაშინ რაღა საჭიროა!

—

— ჩემი უკანასკნელი ნაწარმოები წაიკითხე!?

— წავიკითხე, ჩემო ძმაო, და გირჩევ რომ ეხლა კი მოკვდე!

— რათა? გეშინიან, რომ ამისთანას მეტს ვერას დავწერ?

— არა, შენი სიკვდილი კი არ მაფიქრებს, მე ის მაშინებს ვაი თუ კიდევ დასწერო ასეთი სისულელე!

## შენიშვნები, ცრუ მორწმუნოებანი და სოფლური წამლობანი.

ავადმყოფს შარდი მიიტანეთ და მწვანე ბალახზე დაჰკარეთ. დილაზედ ნახეთ, თუ დამჭკნარია ბალახი ავადმყოფი მოკვდება და თუ არ დამჭკნარა არ მოკვდება,

* *

შინ თუ ავადმყოფი გყავდეს ასრე სცადეთ: ერთის რომიმე ჭურჭლით, თუკინდ ტიკით, ცეცხლი დადგით კარზედ; შიგ ერთი ნატეხი მარილი ჩააგდეთ. თუ გასკდა და გარედ გავარდა მოკვდება და თუ სახლში შემოვარდა მორჩება.

* *

ავადმყოფს დასაფენზე (ჩექმაზე) დორის ხორცი წაუსვით კარგად და მერე ის ხორცი ძაღლს მიუგდეთ. თუ შეჭამა ის ხორცი ძაღლმა ავადმყოფი არ მოკვდება და თუ არ შეჭამა მოკვდება.

* *

პირველად ცნობა მაჯისა. როგორათაც ამას ქვემოთ სწერია არის ოთხმეტი ცნობა მაჯისა. პირველ—სასიკვდილოს მაჯის ნიშანი ეს არის: ათჯერ რომ მაჯამ დაჰკრას და მეთერთმეტე·

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 794.

...დგეს, მერე დღეს ნახე: თუ
... და რკა დაჰკრა იმას უწამლე და
...მოუმატა, ან ენა გაუშავდა, შარდი
...აქვს, გულდამა წვება, ან თვალ
... უცურებს, ან სანათლე წასულდა-
... იყოს, იმასგან ხელი აიღე. მა-
...მ წუნარა და გვიან-გვიან უკემ-
...ეს სევდისაგან იქნება; თუ ჩქარა
...დეს, სიცხე ქნება. თუ მაჯა ქალს
...დად უცემდეს, ორსულობისა ნიშა-
...თუ ქალს მაჯა გან გან უკემ-
...იმას ფაშები და სტომაქიც წამხ-
...ქნება. მაჯა ერთი კარგი ჰქონ-
...და მერე ჩქარა, ან სხვა რიგათ
...დეს, იმას ან ფერი წამხდარა
..., ან ნაწყენი ქნება.

* *

...ჯა რომ დიდას არ ჰქონდეს ერთი
...მიზეზი უთხარი, მიზეზი უთხა-
...ადამის შიდი ნახე, თუ სავსეთ
...ეს მაჯა წვრილად უკემდეს და
...ის ფერი ჰქონდეს, იმასგან ნუ
...დები ცაგება იქნება. თუ მაჯა
... და წვრილად უცემდეს და ცხვი-
...აუწრკილდეს ჭლექის ნიშანია.
...ჯა დაწყნარებული სცემდეს, ის
...თობის მორჩენის ნიშანია.

* *

... მაჯა ცივი ჰქონდეს და ცივათ
...ეს ის ჯდომისაგან იქნება. თუ
...ედქავით სცემდეს და სითბოც
...დეს ის ძალიან სიცხისაგან იქ.

* *

... შარდი, სიკვდილის ნიშანია,
... სისხლის ქვითელი, ზაფრის
...ომას ნიშანია; მწვანე შარდი
... და ფინების ნიშანია. ესენი
... შეინახეთ, ნახეთ როგორ და-
...იწმინდოს; თუ ძირს დაიდე-
... კიდეც ისწრას, იმისი წამალი
...ეს არის იმისი წამალი: სამი
... ბროწეულის ქერქი, ამდენი-
...ხის გული, ამდენივე თურუნ-
...ქი. ესენი მაჯუმათ გააკეთე,
...დას აწვამე თითო დრამას ოდე-
...მარი ერკეპ დილას ასვი თი-
...ზმი.

---

# ...ქურაულ ცარიზა

...თა მკურნალებზე (ბოტანიკა)
(შემდეგი *)

...ს წაბლი. (ქართული) კონ-
...ან (რუსული) აესკულუს
...ანუმ (ლათინური) ამ მცე-
...ენში შეხვდებით მარტო
...ლ და სახელოვან ბილებ-
...ერათ ვერსად ვერ ნახამთ
...რეს, მაგრამ ყირიმში ძა-
...დევენ ამ მშვენიერ მცე-
...გამრავლებას. ეს მცენარე
...ის შესანიშნავი, რომ ყვა-
...ნივრად ვარდის ფრათ, მი
...ლი ყურძნის მტევნების
... ლიდრონი, ოღონდ მტევ-
ნებივით არა ჰკიდია ტოტებზედ,
ხოლო ყვავილები მაღლა აშვერი-
ლია, გეგონებათ ტოტებზედ თაი-
გულები დაურიგებიათო, ყვავილს
აქვს მშვენიერი სუნი. ნაყოფი
პარკებშია მეჰკული წაბლივით,
ხოლო გარედან პარკებს არა აქვს
იმისთანა სამიში ეკლები როგორც
წაბლის ეკლებს, თუმცა ამ მცენა-
რის პარკებიც ჩხვლეტამენ ადა-
მიანის ხელს. მაინც და მაინც ისე
არ არის საშიში. როდესაც პარ-
კებში ნაყოფი (წაბლი) შემოვა,
დამწიფდება, მაშინ პარკები გაუსქ-
დება და ნაყოფი ძირს ცვივა. საქ-
მე ამაშია, რომ ამ მცენარის ნა-
ყოფი (წაბლი) ისე ჰგავს ჩვენე-
ბურ წაბლს, რომ ადამიანი თავის
დღეში ვერ გაარჩევს ერთმანეთი
თუ გემოთი არ ნახა, ეს წაბ-
ლი მწარეა ბალღამივით, სხვაფრივ
კი აგებულებით, ფერით, როგორც
გარეგნობით, ისე შიგ გული ნამ-
დვილი წაბლია. ამისათვის ყირიმ-
ში ამ წაბლის მყიდველნი სასტი-
კათ ყურადღებას აქცევენ იქაურ
ვაჭრებს, რომ ნამდვილ წაბლში
არ გაურიონ ცხენის წაბლი. ვინც
კარგათ დახელოვნებულია, კარგათ
შესწავლილი აქვს ამ წაბლის აგე-
ბულება, იმას შეუძლიან გაარ-
ჩიოს იმითი, რომ ეს წაბლი ცო-
ტათი მომრგვალოა, სიპრტყე არა
აქვს ჩვენებურ წაბლივით, თუმცა
ჩვენებურ წაბლშიაც ბევრს შეხვდებ-
ით მომრგვალო აგებულებისას; რომ
კაცი არ მოატყუვდეს სჯობია ნა-
ხოს გემოთი და ისე ევაჭროს.
როგორც გამძლე ხე, მას მეურ-
ნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილე-
ბა. ხე იზრდება სიმაღლით კაკლის
ხის ოდენა, ფოთლებიც ჩვენებუ-
რი წაბლის ფოთლების მგზავსია,
ოღონდ მოგრძელოა და ერთნაი-
რია, ე. ი. გარეშემო ამოჭრილი
არ არის ჩვენებური წაბლის ფოთ-
ლებივით.

მცენარე ცოცხლობს დიდხანს,
მრავლდება თესლით გაზაფხულო-
ბით და შემოდგომობით.

მეჟქვა. (ქართული, იმერული,
გურული მეგრული) ახათ (თათ-
რული) დზელქვა კრუკლო-ზუბჩა-
ტაია (რუსული) ძელკოვა კრენა-
ტა (ლათინური).

მცენარე გვარობს ამიერ კავკა-
სიაში, ქუთაისის გუბერნიაში, იმე-
რეთში, სამეგრელოში გვარობს ყვე-
ლა ნიადაგზედ, მაგრამ ნოყიერ
ნიადაგზედ იზრდება უზარ-მაზარი
ისე, რომ სიმსხოთი საჟენ ნახევა-
რამდის ან სიმაღლით კიდევ ოც
საჟენამდეისინ. როგორც მაგარი და
გამძლე ხე მის მასალას მეურნეო-
ბაში აქვს დიდი მოთხოვნილება.
მისი ფოთლები და ნაყოფი ერთ
შეხედულობით აკაკის ხის აგებუ-
ლებას ემსგავსება, ხოლო ძელქვას
აქვს წვრილი ნაყოფი და ვიწრო
მოგრძელო ფოთლები, ხე ცოტა-
თი მოთეთრო ფერისაა, ასე რომ
ერთ შეხედულობით წიფელსა
ჰგავს. ცოცხლობს ორას წლამდი-
სინ, მრავლდება თესლით და ბღა-
რტებით გაზაფხულობით და შე-
მოდგომობით.

არჩილ დარეჯანაშვილი
(შემდეგი იქნება)

---



## რჩეული აზრები

— ის სჯობიან იმდენი არ ინდომო რამდენიც გსურს, არამედ რამდენიც საჭიროა.

— თუ თავბრუ გეხსმის, ეცადე რომ აბრუ არ გაგიტყდეს.

— ცხოვრება უნდა გაიზომოს არა დროთი, ნამდვილი სიკეთე ის არის რაც გონებას-გვაძლევს. არამედ ნამოქმედარით.

— სიცოცხლის ხანგრძლიობა ჩვენზე არ არის დამოკიდებული მაგრამ ის კი ჩვე ნზედამოკიდებული თუ რამდენ ხანს ვიცოცხლებთ ადამიანად.

— ავარჯიშე გონება, იმის შემწეობით შეგიძლიან აიტანო ყოველივე უბედურება ქვეყანაზე.

---

## ახირებული საქმენი

ნობათი ლოთობისათვის. პარიზში ამ უკანასკნელ ხანებში შემოუღიათ სხვა და სხვა საკუჭნაო და სასმელ მაღაზიებში ნობათები. ერთი ბუფეტის პატრონი აცხადებს, ვინც ჩემს ბუფეტში 2,000 ჭიქა სასმელს დალევს, იმას მიეცემა საჩუქრად ველოსიპედი, ხოლო საჩუქარს იმას აძლევენ ვინც წარადგენს 2,000 კონტრამარკას, რომელსაც ბუფეტის პატრონი აძლევს ხოლმე ყოველ ჭიქა სასმლის დამლევს.

---

## სხვა-და-სხვა ამბავი

ცხვირის დაცემანება. როგორც ჩვენს ქართველებში აგრეთვე ყველა ერის ხალხში რუსებში, ბერძნებში, ებრაელებში, რომაელებში, ეგვიპტელებში, და თითქმის აზიის და ამერიკის ხალხებში ჩვეულებათ არის მიღებული, რომ ცხვირის დაცემინების შემდეგ, მეორე ეტყვის „გაგიმარჯოს! ან „იცოცხლე“. ეს ჩვეულება ძველზე უძველესია და არავინ არ იცის თუ საიდან წარმოსდგა პირველად. ზოგნი ამბობენ, რომ ამ რამდენიმე საუკუნეს წინად ერთნაირი ავადმყოფობა იყო, რომელიც ცხვირს აცემინებდა კაცს, როცა იგი რჩებოდაო და ამიტომ ეტყოდენ ხოლმე ერთმანეთს „იცოცხლეო!“ მეორენი პირიქით ამტკიცებენ, რომ ისეთი ავადმყოფობა იყო, რომელიც ცხვირის დაცემინებით, ხოცავდა კაცსაო და და იმიტომ ეტყოდნენ ხოლმე ერთმანეთს გამარჯვებასაო.

---

## წვრილი ამბავი

ერთი დღე ზღვის ვეშაპის მუცელში. ძველ აღთქმის თქმულება შესახებ იონასი, რომელიც თურმე ზღვის ვეშაპის მუცელში სამი დღე იყო, ამ უკანასკნელ ხანებში გამართლდა კიდეც ერთ ინგლისელ მეზღვაურზე ჯემს ბარტლეიზე, რომელმაც თურმე ორ დღემდე დაჰყო ზღვის ვეშაპის მუცელში. ამ საგანზე ეხლა ბევრს სწერენ ინგლისურ გაზეთებში „როცა მე გემიდან გადმოვარდი, ამბობს ჯემს ბარტლეი, ვიგრძენ, რომ რაღამაც გადამთქაო, მე ჩავარდი რაღაც რბილსა და ვიწრო ხვრელში და ნება-უნებლიედ იძულებული ვიყავი წინ წავწეულვიყავიო, ეს მოძრაობა დიდხანს კი არ დამჭირებია, რამდენიმე წუთის შემდეგ მე უეცრივ გავჩნდი რაღაც ბნელს ტომარაში. გავაფათურე ხელები და მივხვდი, რომ მე ზღვის ვეშაპის სტომაქში ვიმყოფებოდი, სუნთქვა თუმცა ძრიელ მიჭირდა, მაგრამ მაინც შემეძლო ძლივს-ძლივობით: ხოლო უზომო სიცხემ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ გული შემომეყარაო. თურმე ზღვის ვეშაპი მოკლეს და ხსენებულ ჯემს ბერტლეი ცოცხალ-მკვდარი კი აღმოუყვანეს ვეშაპის სტომაქიდან. ეს არა დასაჯერებელი ამბავი დაამოწმა გემის უფროსმა და სამოცამდე მეზღვაურმა. ბარტლეი საავადმყოფოში დააწვინეს და მალე გამოკეთდა სრულებით. ჯემს ბარტლეის არაფერი დაშავებია ზღვის ვეშაპის მუცელში თუმცა 24 საათი ყოფილა შიგ.

---

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

5 მაისი.

**პარიზი**. „ფიგარო“ ამბობს, რომ შემიძლიან ვაუწყო მკითხველებს, თუ რისგან შესდგება საიდუმლო „dossier“-იო. იგი 7 საბუთის ქაღალდს შეიცავს: 1) „ეს საზიზღარი დ.“, 2) დამტკიცებებს და ეჭვებს, 3) ოფიცერების შესახებ, 4) სამხედრო აგენტის შვეიცარიაში წასვლის შესახებ, 5) (?), 6) პანიცარდის დეპეშას და 7) იმპერატორ ვილჰელმის წერილს.

**ჯიბუტი**. აქ მოვიდა მარშანის ექსპედიცია.

**პრეტორია**. ისინი, ვინც იოჰანესბურგში დააპატიმრეს შეთქმულობისათვის, ერთის გარდა ინგლისის ქვეშევრდომნი აღმოჩნდნენ. ყველამ განაცხადა, რომ ინგლისის ჯარში ვმსახურობდითო.

6 მაისი.

**ბერლინი**. Norddeutsche Zei...

tung“-ი ამბობს: »იმპერატორის ნიკოლოზის დაბადების დღეს გაიხსნა გააგაში სამშვიდობო კონფერენცია, რომლისათვისაც მადლიერი უნდა ვიყვნეთ სულგრძელის იმპერატორისა. ამის გამო ამ დღეს განსაკუთრებული ნათელი ეფინება კეთილშობილს იმპერატორს, საიმედო მეგობარს ჩვენის იმპერატორისას, მივმართავთ ჩვენ დანარჩენ კულტუროსან ქვეყნებთან ერთად და დიდის მოწიწებით ვულოცავთ“.

**ჰააგა.** ყველა წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სამშვიდობო კონფერენციაზედ დასასწრებლად. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ბოფორი იქნება დანიშნული საპატიო პრეზიდენტადაო. ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა ნება დაერთოთ, რომ მხოლოდ დასაწყისს დაესწრნენ. შეუდგებიან თუ არა იმ კომისიების წევრთა არჩევანს, რომელმაც პროგრამმა უნდა შეიმუშავოს, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი დარბაზიდგან უნდა გავიდნენ. კომისიების არჩევანის შემდეგ კონფერენცია ერთის კვირით შესწყვეტს მუშაობას, რათა კომისიებს დრო მისცეს საქმის გაკეთებისა.

**პარიზი.** ამ დილით ფოსტიდგან წერილები და ამანათები არ დარიგებულა, რადგან მუშაობის ამკვეთ ფოსტის მოხელეთა რიცხვმა 3, 800 კაცამდე იმატა. ფოსტათა მინისტრის ამხანაგი ამაოდ ეცადა გაფიცულთა დაშოშმინებას და შემდეგ წავიდა დიუპუისთან სათათბიროთ, სრული წეს-რიგიანობაა დაცული.

როდესაც მუქო აშოშმინებდა ფოსტის მოხელეთ, ისინი არას ათქმევინებდნენ და პასუხად უყვიროდნენ: „სამსახურს თავი დაანებე! ჩვენ არა გვინდა რა იმის მეტი, რომ გრუსსიეს აზრი იქმნას განხორციელებულიო“. იმედი აქვთ, რომ სამსახურის საქმე შუადღემდე გაწესრიგებული იქმნებაო. გრუსსიეს აზრი, რომელიც პალატამ შეიწყნარა, ხოლო სენატმა უარ-ჰყო, ის არის, რომ ხარჯთ აღრიცხვას ორი მილიონი ფრანკი მიემატოს ფოსტის მოხელეთა ჯამაგირებისათვისაო.

გუშინ დიდი მთავარი მიხეილი მიხეილის ძე ლუბესთან ჰბრძანდებოდა დარბაზად. სამაგიეროდ დარბაზობა ლუბემ მაშინვე გარდაუხადა.

7 მაისი

**ვისბადენი.** სადილის დროს, რომელიც გამართულ იქმნა რუსეთის იმპერატორის დაბადების დღესასწაულის გამო, იმპერატორმა წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა, ხელმწიფის სადღეგრძელოსთან ერთად ვისურვებ, რომ მისის მეოხებით განზრახულ კონფერენციას კარგი შედეგი მოჰყვეს. შემდეგ იმპერატორმა მიჰმართა რუსეთის ელჩს და დასასრულ წარმოსთქვა „გაუმარჯოს მის უდიდებულესობასაო“!

**პარიზი.** საფრანგეთის დეპუტატპალატის პრეზიდენტი დეშანელი არჩეულ იქმნა საფრანგეთის აკადემიის წევრად, ერვეს ადგილას.

**პეტერბურგი.** 1 მაისი. სათავადაზნაურო სესხის მომგებიან ბილეთების მე-19 ტირაჟში ხუთას-მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1063 | 19 | 4488 | 35 | 15148 |
| 1 | 4136 | 19 | 6696 | 36 | 134 |
| 1 | 6952 | 19 | 8342 | 36 | 1793 |
| 1 | 8204 | 19 | 10342 | 36 | 2241 |
| 1 | 9370 | 19 | 12851 | 36 | 3323 |
| 1 | 15515 | 19 | 11575 | 36 | 6909 |
| 2 | 459 | 20 | 1637 | 36 | 6993 |
| 2 | 4756 | 20 | 8251 | 36 | 9872 |
| 2 | 6650 | 20 | 9428 | 36 | 11533 |
| 2 | 7278 | 20 | 14858 | 37 | 7683 |
| 2 | 7328 | 20 | 15266 | 37 | 8266 |
| 2 | 8889 | 21 | 1577 | 38 | 56 |
| 2 | 9257 | 21 | 13630 | 38 | 1109 |
| 2 | 11458 | 21 | 14441 | 38 | 11728 |
| 3 | 1753 | 21 | 14475 | 39 | 373 |
| 3 | 9724 | 22 | 1292 | 39 | 473 |
| 4 | 198 | 22 | 6740 | 39 | 1289 |
| 4 | 1622 | 22 | 8958 | 39 | 2626 |
| 4 | 1677 | 22 | 12453 | 39 | 3635 |
| 4 | 2344 | 22 | 12738 | 39 | 7304 |
| 4 | 4520 | 22 | 14075 | 39 | 8476 |
| 4 | 6196 | 23 | 1759 | 39 | 11102 |
| 4 | 16997 | 23 | 9109 | 40 | 23 |
| 4 | 14006 | 24 | 13 | 40 | 1690 |
| 5 | 1710 | 24 | 6151 | 40 | 2959 |
| 5 | 2032 | 24 | 6487 | 40 | 3883 |
| 5 | 8621 | 24 | 7250 | 40 | 6384 |
| 5 | 8972 | 24 | 8422 | 40 | 7674 |
| 6 | 1985 | 24 | 8652 | 40 | 8027 |
| 6 | 15058 | 24 | 8881 | 40 | 9215 |
| 7 | 2962 | 24 | 9369 | 40 | 12227 |
| 7 | 13238 | 25 | 3559 | 41 | 12189 |
| 8 | 5190 | 25 | 3603 | 41 | 12770 |
| 8 | 8641 | 25 | 7427 | 41 | 14383 |
| 8 | 8232 | 25 | 11451 | 42 | 1021 |
| 8 | 14013 | 25 | 13642 | 42 | 2971 |
| 9 | 5106 | 26 | 511 | 42 | 3291 |
| 9 | 19981 | 26 | 770 | 41 | 5439 |
| 9 | 11759 | 26 | 834 | 42 | 12986 |
| 9 | 14021 | 26 | 7468 | 42 | 14854 |
| 10 | 4649 | 26 | 11061 | 42 | 15054 |
| 10 | 8365 | 27 | 1017 | 43 | 76 |
| 10 | 13419 | 27 | 1348 | 33 | 748 |
| 10 | 13761 | 27 | 1382 | 43 | 1620 |
| 10 | 14003 | 27 | 7434 | 43 | 2820 |
| 10 | 14521 | 27 | 9378 | 43 | 3777 |
| 10 | 15412 | 27 | 10283 | 43 | 4165 |
| 11 | 8823 | 27 | 11460 | 43 | 5730 |
| 11 | 9652 | 27 | 13015 | 43 | 8529 |
| 11 | 10588 | 28 | 3035 | 43 | 14644 |
| 11 | 11415 | 28 | 3354 | 44 | 1474 |
| 12 | 762 | 28 | 3623 | 44 | 6191 |
| 12 | 909 | 28 | 3679 | 44 | 14229 |
| 12 | 6391 | 28 | 11872 | 44 | 15837 |
| 12 | 9439 | 29 | 70 | 45 | 534 |
| 12 | 14161 | 29 | 2065 | 43 | 4657 |
| 13 | 10588 | 29 | 3211 | 45 | 12755 |
| 14 | 1661 | 29 | 13534 | 45 | 15244 |
| 14 | 4806 | 30 | 1298 | 45 | 15938 |
| 14 | 5262 | 30 | 1477 | 46 | 1613 |
| 14 | 7167 | 30 | 8674 | 46 | 5969 |
| 14 | 14027 | 30 | 9994 | 46 | 8787 |
| 14 | 14830 | 30 | 11492 | 46 | 11200 |
| 14 | 14978 | 30 | 11788 | 47 | 1166 |
| 15 | 2127 | 30 | 12069 | 47 | 2032 |
| 15 | 3561 | 31 | 5452 | 47 | 2230 |
| 15 | 3692 | 31 | 10386 | 47 | 9419 |
| 15 | 6914 | 31 | 11062 | 47 | 10125 |
| 15 | 12713 | 31 | 12212 | 48 | 1612 |
| 15 | 14487 | 31 | 12404 | 48 | 2556 |
| 15 | 14676 | 31 | 13970 | 48 | 3140 |
| 15 | 15116 | 32 | 610 | 48 | 3505 |
| 16 | 4171 | 32 | 4105 | 48 | 7789 |
| 16 | 4171 | 32 | 6793 | 49 | 208 |
| 16 | 11411 | 32 | 8833 | 49 | 311 |
| 16 | 11642 | 32 | 14726 | 49 | 532 |
| 17 | 1418 | 32 | 14963 | 49 | 2873 |
| 17 | 2968 | 32 | 15243 | 49 | 3162 |
| 17 | 3729 | 33 | 10[illegible] | 49 | [illegible] |
| 17 | 14536 | 33 | 13317 | 49 | [illegible] |
| 18 | 1383 | 33 | 15428 | 50 | [illegible] |
| 18 | 4363 | 34 | 4429 | 50 | [illegible] |
| 18 | 10926 | 34 | 12516 | 50 | [illegible] |
| 18 | 12451 | 34 | 13238 | 50 | [illegible] |
| 19 | 727 | 35 | 4269 | | |
| 19 | 2910 | 35 | 12099. | | |

გაუქმების ტირაჟში გამოვიდა სერ[...]

15429, 1882, 4197, 14463, 15[...] 7902, 6117, 7593, 8966, 6383, [...] 4370, 2333, 6260, 9809, 11020, [...] 5421, 738, 10146, 12632, [...] 13908, 5912, 3040, 13449, 7532, [...] 7928, 9752, 13707, 15556, [...] 10078, 10598, 8788, 920, 4784, 12[...] 4153, 7754, 2891, 1162, 3450, 10[...] 1540, 10705, 10171, 5320, 10[...] 10941, 1429, 9004, 6798, 14[...] 13324, 1706, 11810, 12233, 9751, [...] 4394, 2546, 11332, 15951, 7[...] 21248, 14168, 15985, 3263, 4[...] 3081, 14128, 1760, 8583, 14[...] 9716, 6565, 14785, 15882, 3[...] 15772, 1231, 10373, 13091, 8[...] 14900, 5288, 6596, 11435, 873, 2[...] 8162, 15050, 15683, 12927, 12[...] 1691, 2245, 15022, 1682, 12241, [...] 6140, 6033, 14591, 9443, 7647, 7[...] 15989, 11460, 7864, 5938, 7[...] 12467, 15798, 10912, 2929, 2[...] 11230, 15872, 5012, 12663, 15[...] 3651, 1021, 3168, 8267, 6839, [...]


# განცხადებანი

Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й.

десять рублей.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.

на ежедневную

ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНОУЮ ГАЗЕТУ

„НАРОДЪ“

(третій годъ изданія)

Подписная цѣна газеты понижена до **десяти** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.

Газета посвящаетъ себя разработкѣ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа.

Въ газетѣ между прочимъ сводится много мѣста вопросамъ железнодорожнаго дѣла въ Россіи, вопросамъ Церковнымъ, вопросамъ военнымъ и вопросамъ, касающимся жизни провинціи.

Сообщеніямъ изъ провинціи широко раскрыты страницы газеты, такъ какъ она сознаетъ важную роль, какую все болѣе и болѣе занимаетъ провинція въ жизни Русскаго Государства. Всякое сообщеніе, идущее отъ мѣстныхъ лицъ, касающееся жизни городовъ земствъ, вопросовъ сельско-хозяйственныхъ, торгово-промышленныхъ и т. п., съ благодарностью принимается газетою, если оно проникнуто духомъ общей пользы, а не личныхъ счетовъ. Для болѣе яркаго освѣщенія провинціальной жизни въ газетѣ существуетъ особый отдѣлъ подъ заглавіемъ „Провинціальный фельетонъ“, въ которомъ свѣдѣнія полученныя отъ кореспондентовъ и почерпнутыя изъ провинціальныхъ газетъ, разрабатываются сотрудниками, близко знакомыми съ провинціальной жизнью и специально для Етой работы приглашенными.

*ПОДПИСНАЯ ПЛАТА.*

| | На 1 годъ. | На 6 мѣс. | На 3 мѣс. | На 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| **Въ Россіи,** повсемѣстно, съ перес. и доставкой . . . | 10 р. | 5 р.—к | 2 р. 50 к. | 1 р.—к |
| **За Границею,** въ государ. почтоваго союза . . . | 14 » | 7 » 50 » | 3 » 75 » | 1 » 50 » |

**подписка принимается:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.

МОСКВѢ: въ конторѣ биржевого маклера И. Ю. Шульца (старый гостиный дворъ) въ главномъ газетномъ агентствѣ К. Н. Александровой (на Тверской), а также въ Главномъ Агентствѣ А. Ф. Сенъ-Мартенъ (Неглинный проѣздъ Противъ Гос. Банка.

Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращаться въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.** (8—5)

Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й.